



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 62

2014 წლის 5 სექტემბერი

ქ.დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული პნევმატური ავტომწე ZIL-130-ის ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურისათვის“ უსასყიდლო თხოვების ფორმით გადასაცემად, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი, მე-2 ნაწილების შესაბამისად, ამავე კანონის 122-ე მუხლის მეოთხე ნაწილის საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, დუშეთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული პნევმატური ავტომწე ZIL-130, უსასყიდლო თხოვების ფორმით გადასცეს ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურს“

2. ეს განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი